საიდ. №77202/03

IR 1201681

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №80-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ნემიროფ ინტელექჩუალ ფროფერთი ესთაბლიშმენთ” (Nemiroff Intellectual Property Establishment) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №80-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №1057/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „NEMIROFF. Водка - это он!” (საიდ. 77202/03, IR 1201681) დაცვის მინიჭება საქართველოში 33-ე კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლური სასმელები, კერძოდ არაყი“ (Alcoholic

beverages, namely vodka) და 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „რეკლამა, მართვა საქმიან სფეროში; ბიზნეს ადმინისტრირება; საოფისე ფუნქციები; არყის იმპორტი და ექსპორტი; არყით საცალო და საბითუმო ვაჭრობის მომსახურებები (Advertising; business management; business administration; office functions; importation and exportation of vodka; retail and wholesale services with vodka”).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის N1057/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნით - NEMIROFF. Водка - это он! (საიდ. N77202/03, საერთ.რეგ N1201681), მოითხოვება 33-ე კლასით გათვალისწინებული ალკოჰოლიანი სასმელების (ლუდის გარდა) ჩამონათვალის დაცვა. ნიშანში შემავალი აღნიშვნა „Водка“ ქართულად ითარგმნება, როგორც არაყი, რაც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების და სხვა მახასიათებლების შესახებ, 33-ე კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვლის მიმართ, როგორიცაა: ბრენდი, ვისკი, ღვინო, ლიქიორი და ა.შ. რაც „სასაქონო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველია. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოთხოვნილია 35-ე კლასის მომსახურებისათვის და ვინაიდან, 35–ე კლასის მომსახურება პირდაპირ კავშირშია 33–ე კლასის საქონელთან, სასაქონლო ნიშანს - „NEMIROFF. Водка - это он!“ უარი უნდა ეთქვას დაცვაზე 35-ე კლასის მომსახურების მიმართ. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ნემიროფ ინტელექჩუალ ფროფერთი ესთაბლიშმენთ" (Nemiroff Intellectual Property Establishment) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, იგი თანახმაა შეიზღუდოს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის IR 1201681 - "NEMIROFF -Водка это он!" საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: 33-ე კლასი: „ალკოჰოლური სასმელები, კერძოდ არაყი (Alcoholic beverages, namely vodka"), 35-ე კლასი: "რეკლამა, მართვა საქმიან სფეროში; ბიზნეს ადმინისტრირება; საოფისე ფუნქციები; არყის იმპორტი და ექსპორტი; არყით საცალო და საბითუმო ვაჭრობის მომსახურებები (Advertising; business management; business administration; office functions; importation and exportation of vodka; retail and wholesale services with vodka"). აპელანტის პოზიციით, საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის ასეთი სახით შეზღუდვა საკმარისია იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშანმა მცდარი წარმოდგენა არ შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების შესახებ. შესაბამისად, აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" №1057/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „NEMIROFF. Водка - это он!" (საიდ. 77202/03, IR 1201681) დაცვის მინიჭებას საქართველოში 33-ე კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ:

„ალკოჰოლური სასმელები, კერძოდ არაყი“ (Alcoholic beverages, namely vodka) და 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „რეკლამა, მართვა საქმიან სფეროში; ბიზნეს ადმინისტრირება; საოფისე ფუნქციები; არყის იმპორტი და ექსპორტი; არყით საცალო და საბითუმო ვაჭრობის მომსახურებები (Advertising; business management; business administration; office functions; importation and exportation of vodka; retail and wholesale services with vodka”).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ აპელანტის მიერ საქონლისა და მომსახურების ამგვარი სახით - 33-ე კლასი: „ალკოჰოლური სასმელები, კერძოდ არაყი“ (Alcoholic beverages, namely vodka); 35-ე კლასი: „რეკლამა, მართვა საქმიან სფეროში; ბიზნეს ადმინისტრირება; საოფისე ფუნქციები; არყის იმპორტი და ექსპორტი; არყით საცალო და საბითუმო ვაჭრობის მომსახურებები (Advertising; business management; business administration; office functions; importation and exportation of vodka; retail and wholesale services with vodka”) შეზღუდვის პირობებში მომხმარებელი არ შევა შეცდომაში საქონლისა და მომსახურების თვისების ან სხვა მახასიათებლის მიმართ

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქონლისა და მომსახურების შეზღუდვის პირობებში, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ,

საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „NEMIROFF. Водка - это он!" (საიდ. 77202/03, IR 1201681) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჯეითი ინტერნეშენელ ს.ა." (JT International S.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" №1057/03 ბრძანება.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „NEMIROFF. Водка - это он!" (საიდ. 77202/03, IR 1201681) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 33-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლური სასმელები, კერძოდ არაყი" (Alcoholic beverages, namely vodka) და 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „რეკლამა, მართვა საქმიან სფეროში; ბიზნეს ადმინისტირება; საოფისე ფუნქციები; არყის იმპორტი და ექსპორტი; არყით საცალო და საბითუმო ვაჭრობის მომსახურებები (Advertising; business management; business administration; office functions; importation and exportation of vodka; retail and wholesale services with vodka").

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ლ. ახობაძე

ს. ებრალიძე